საარბიტრო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 26 ოქტომბერი 2004 №249 (2270) ფასი 50 თეთრი

თბილისმა დინამოს 5:0 ჩააჩუტა

ვაჰ
დევდარიანმა ქალაქი გააოცა



მეთექვსმეტე ეროვნულ ჩემპიონატამდე თბილისის „დინამო“ არ დახუთულა და გუშინ დაიხუთა — „თბილისისგან“ ხუთი უპასუხო ბურთი გაუშვა. სენსაცია, გაკვეთილი, ბრეჭი, გადაღლა, მეტოქის კარგი თამაში... მაინც რა დაემართა გია გეგუჩაძის „დინამოს“? ყველაფრის კარგად გასაანალიზებლად 4 ნოემბრამდე აქვთ დინამოელებს ვადა — ამ დღეს „სენტ ჯეიმს პარკზე“ საქართველოს საკლუბო ფლაგმანმა თავისი ღირსება უნდა დაიცვას „ნიუკასლთან“, ის ღირსება, რომელიც გუშინ დაკარგული ჰქონდა...

ლუის ცაკარიასი: თბილისში უფრო მრჩევველი ვიქნები, ვიდრე მწვრთნელი



ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი მწვრთნელი, პერუელი ლუის ცაკარიასი თბილისშია და გუშინ „თბილის“—„დინამოს“ მატჩს დაესწრო. ცაკარიასს ახლა „თბილისთან“ დაუჭერია საქმე და ალბათ ჩადგება კიდეც ამ კლუბის სამსახურში.

„თბილისს“ ახლა გიორგი დევდარიანი კი წვრთნის, მაგრამ გაისად ის გერმანიაში, კიოლნის სამწვრთნელო სკოლაში აპირებს სწავლას. მოკლედ, ზამთრის შესვენებისთვის „თბილისი“ სხვა მწვრთნელმა უნდა ჩაიბაროს.

გუშინ ცაკარიასმა გვითხრა, რომ მისი და „თბილისის“ ურთიერთობა უახლოეს დღეებში გაირკვევა და თუ მხარეებმა ხელი-ხელს დაჰკრეს, კლუბში კონსულტანტად უფრო ვიმუშავებ, ვიდრე მწვრთნელადო.

ცაკარიასისგან შევიტყვეთ, რომ ბოლოს ის სამხრეთ ამერიკაში მუშაობდა — გელზენკირხენის „შალკესთვის“ სელექციას აწარმოებდა.

„თბილისის“ პრესსამსახურის უფროსმა მამუკა კვარაცხელიამ გვითხრა, კლუბი ცაკარიასთან თანამშრომლობით იმადაცაა დაინტერესებული, რომ პერუელს კარგი კონტაქტები აქვს სამხრეთ ამერიკასა და ევროპაშიო.

ერთი სიტყვით, ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა. არაა გამორიცხული, რომ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დასრულების შემდეგ „თბილისი“ ცაკარიასმა გაწვრთნას.

დავით თავართქილაძე

ანდრეზ ეფანოვის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი
ეროვნული ლიგა
16 ტური

მცხეთა. 25 ოქტომბერი. 15 საათი. ბრამაზი. 100 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 2:0 დილა

1:0, 2:0 მერებაშვილი (62, 85)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, პ. დათუნაშვილი, გველესიანი, დიმელაშვილი, ლ. ნოზაძე (ლ. კვარაცხელია 46), მარცვალაძე (ცხომარია 83), ე. მერებაშვილი, ადამია (სახოკია 61)	**დილა:** სომხიშვილი, მგელაძე, ჩაჩუა, ლომიძე, ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი (გაბლაია 11), რაზმაძე, ჯობაძე (მასურაშვილი 67), შატაკიშვილი, წუწუნავა (თომაშვილი 46)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ლომაია, ქოქიაშვილი, ვ. გოჩაშვილი	*სათადარიგონი:* ილურიძე; ქარქუზაშვილი, ხატიაშვილი, ფოფხაძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე	**მწვრთნელი:** სოსო ვაშაკიძე

გაფრთხილება: ლომიძე (36), ადამია (41), ჯობაძე (47), შატაკიშვილი (52), ინწკირველი (63), ბალაშვილი (84), მასურაშვილი (88)

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

ვაჟა ხუციშვილი მცხეთიდან

მეორე ტაიმი ათი წუთის დაწყებული იყო, მთავარმა მსაჯმა „დილას“ მწვრთნელს ტრიბუნაზე გადაბრძანება რომ სთხოვა. დავით სანაიამ სოსო ვაშაკიძის შენიშვნების მოსმენა არ ინება და ამიტომაც დაატოვებინა კუთვნილი ადგილი. გორელთა თავკაცმა ნამატჩევს განაცხადა, უხამსი არაფერი მიკადრებია, რამდენჯერმე დავუძახე, თამაში გვაცალე-მეთქი. „დილას“ მწვრთნელის „გადასახლებამდე“ სანაიამ ზედიზედ გააფრთხილა ჯობაძე და შატაკიშვილი. სწორედ ამის გამო გაბრაზდა ვაშაკიძე, რასაც მისი უწიოლბარათო გაძევება მოჰყვა.

მთავარ მსაჯთან საპრეტენზიო ორივე გუნდის თავკაცს ბლომად მოეძებებოდა, რადგან სასტვენიანი აქაიქ აშკარად სცოდავდა.

ფეხბურთელებიდან მსაჯობით განსაკუთრებით უკმაყოფილო ქრისტეფორე შატაკიშვილი იყო. მეორე ტაიმი ლამის მისი და სანაიას დუელად იქცა.

მასპინძელთაგან ალექსანდრე ინწკირველი „დუღდა“. ერთ ეპიზოდში განრისხებულმა ვიტელმა არბიტრს ხელი ჰკრა, რისთვისაც ყვითელი ბარათი „გამოუწერეს“.

პირველი ნახევრის მიწურულს მეტოქის საჯარიმოში წაქცეული გიორგი ადამია პენალტს ითხოვდა, სანაიამ კი თამაშის გაგრძელება ბრძანა. ადამია წამოდგა და ისეთი რამ მიამახა, რომ ყვითელი ბარათი იხილა.

მსაჯობის თემა ერთი სახალისო ამბით ამოვწურეთ და თითო-ოროლა სტრიქონით თამაშზეც ვთქვათ. მეორე ნახევარში კუთხურის ჩაწოდებისას ვიტელ ფეხბურთელს ალამი უშალიდა ხელს, რადგან უშნოდ იყო გადახრილი. გვერდითი მსაჯი ავთანდილ სამხარაძე თავაზიანად ეხმარებოდა და ალამს ასწორებდა, ფეხბურთელს ხელი არ შეეშალოსო.

პირველი ტაიმი ისე დასრულდა, გორელებს კარში არ დაურტყამთ. შესვენებამდე წუთით ადრე კი მათ ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდათ. კარის წინ გასრიალებულ ბურთზე ბედიაშვილი არ გამოვიდა, რითაც კახა წუწუნავამ ვერ ისარგებლა. „დილას“ ფორვარდს სულ მცირე დააკლდა ბადეში ბურთის შესაგდებად.

მასპინძლები ფლანგიდან უტევდნენ. სამ-ოთხჯერ დაარტყეს კარში, მაგრამ სომხიშვილმა, რომელმაც გუშინ საუცხოოდ ითამაშა, პირველ ნახევარში ყველა ბურთი მოიგერია. მარცხენა ფლანგი ოთარჭ მარცვალაძეს ებარა, მარჯვენა კი ადამიას. თბილისელთა თავკაცმა ხუთიოდ წუთით ადამია-მარცვალაძეს ადგილები გააცვლევინა, მაგრამ ამით რომ ვერ იხეირა, ორივე თავ-თავის პოზიციაზე დააბრუნა. შესვენებამდე კობა ხანიშვილი დაშავდა და იგი გაბლაიამ შეცვალა.

მეორე ნახევარში მასპინძელთა გუნდში ლაშა ნოზაძის მაგივრად ლევან კვარაცხელია შევიდა, „დილაში“ კი წუწუნავას მაგივრად თომაშვილი გამოჩნდა. სანამ სტუმართა მცველები ჯანზე იყვნენ, მეტნაკლებად უმკლავდებოდნენ დამხვდურთა იერიშებს. თბილისელებმა გორელთა დაცვის „გაწელვა“ დაიწყეს და „ღრიჭოებიც“ გამოაჩინეს. გველესიანის თავური სომხიშვილმა სასწაულებრივ მოიგერია, მერე ქართლელთა მეკარემ მარცვალაძესაც დაასწრო ბურთზე. ამას მოჰყვა რაზმაძის ეპიზოდი. მას თავი თამაშგარეში ეგონა და არ შეჰყვა ბურთს, არადა, შეტევა რომ გაეგრძელებინა, ბედიაშვილთან პირისპირ გავიდოდა.

ლევან კვარაცხელიას დარტყმული სომხიშვილმა ცხრიანიდან გამოაძრო, მაგრამ მომდევნო შეტევისას „დილას“ მეკარე უძლური იყო. მარცხენა ფლანგიდან იმედაშვილმა ჩააწოდა, მერებაშვილმა კი მცველებს დაასწრო და ახლოდან თავი საგოლედ დაჰკრა. მოგვიანებით მერებაშვილმა შორიდან გატანა სცადა, რაც საამო სანახავი მომენტი გამოდგა — სომხიშვილი ნახტომში ბურთს თითებით შეეხო, ხარიხიდან მობრუნებული ბურთი კი მეკარეს ზურგზე მოხვდა და კარის ხაზის წინ დაეცა. შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით დარე „დილას“ კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. პირველი გოლის ავტორმა შესრულება ითავა და ლამაზადაც გააკეთა ეს — ბურთი პირდაპირ ცხრიანში ჩაახვია.

იაშვილმა შტუტგარტი ექვსი წლის თავზეც მოსხიპა საუკეთესო გლები

ბუნდესლიგის მეცხრე ტურში „ფრაიბურგმა“ შინ ლიდერს 2:0 მოუგო, რის შემდეგაც „შტუტგარტი“ მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა, ხოლო „ფრაიბურგმა“ მეთექვსმეტედან ოთხი საფეხურით აინაცვლა. მიმდინარე ბუნდესლიგაში „შტუტგარტი“ მანამდე წაუგებელი იყო, ხოლო მის მეკარე ტიმო ჰილდებრანდს სათამაშო დროის ექვს საათზე მეტი კარი მშრალად ჰქონდა შენახული. ყველაფერ ამის მსხვრევას ალექსანდრე იაშვილის გოლმა დაუდო სათავე...

— კარის გასწვრივ კრუპკემ ჩააწოდა და ბურთი მარჯვენა ფეხით გადავგზავნე ჰილდებრანდის კარში.

— „შტუტგარტს“ ალბათ, ასე ვთქვათ, დაცვიდან ეთამაშეთ...

— არა, თანაბარი თამაში იყო, ძალიან ძნელი, მაგრამ ჩვენ მართლაც მაგრად ვითამაშეთ და მეტოქეზე მეტი მომენტიც შევქმენით. ძალიან ძლიერად ითამაშა ჩვენმა დაცვამ — „შტუტგარტს“ მხოლოდ ერთი მომენტი ჰქონდა.

— „შტუტგარტთან“ ადრეც გამოგიჩენია თავი...

— ექვსი წლის წინ „შტუტგარტს“ 2:0 მოვუგეთ და ორივე გოლი მე გავიტანე.

— ახლანდელი „შტუტგარტიდან“ ყველაზე უფრო ვინ გამოირჩეოდა?

— ალექსანდრ გლები. ამ დროისთვის მას ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად მივიჩნევ, მისი შეჩერება ძალიან გაგვიჭირდა. გლებს ერთი კაცი არ კეტავდა, რადგან ერთი მეურვე მას ვერ შეაჩერებს. გლებს ყოველთვის ორი ფრაიბურგელი დასდევდა.

— მიმდინარე სეზონში „ფრაიბურგი“ ძალიან არასტაბილურად თამაშობს — „შტუტგარტს“ კი მოუგეთ, მაგრამ არგავარდნისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტებთან ჯერჯერობით წარუმატებლად თამაშობთ...

— წინა სეზონში შინ თითქმის ყველა თამაში მოვიგეთ, ახლა კი „შტუტგარტთან“ მოგება ჩვენი პირველი საშინაო სამი ქულა იყო. სულ ორი მოგება გვაქვს და თან იმ გუნდებთან, რომლებიც პირველ-მეორე ადგილებზე არიან — „ვოლფსბურგი“ სტუმრად დავამარცხეთ. მართლაც უცნაურია ყველაფერი. თუმც „შტუტგარტთან“ გამარჯვება ჩვენთვის ფსიქოლოგიურადაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

— ლევან ცქიტიშვილი როდის განაახლებს ვარჯიშს?

— დაზიანებული კუნთი ჯერაც არ მოურჩა. ალბათ ერთ კვირას კიდევ დაისვენებს.

დავით თავართქილაძე

ინგლისი

ჩემპიონატი. XV ტური

როტერჰემი 0:1 სანდერლენდი

იტალია

სერია C1/B. VII ტური

ფოჯა 0:1 ფერმანა

საფრანგეთი

II დივიზიონი. XIII ტური

გენგამი 2:1 ამიენი

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. X ტური

ლიბერეცი 1:1 იაბლონეცი

ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

სენტ პატრიკსი 1:1 დროჰედა

ბორჯომი	10	9	0	1	29:10	27
ვიტ ჯორჯია	10	7	1	2	20:6	22
სპარტაკი	10	6	4	0	17:8	22
ამერი	10	7	0	3	31:7	21
დინამო 2	10	5	1	4	21:18	16
კახეთი	9	5	1	3	18:17	16
ცხინვალი	10	4	3	3	16:14	15
ჩიხურა	10	4	2	4	9:11	14
მერანი	7	4	0	3	13:13	12
ივერია	9	2	4	3	7:12	10
ოლიმპი	10	2	3	5	11:15	9
ლოკომოტივი 2	10	2	3	5	12:18	9
გურია	9	2	2	5	8:15	8
რუსთავი	10	2	1	7	13:20	7
საგარეჯო	10	1	2	7	9:29	5
მაღაროელი	10	0	3	7	3:24	3

ბორჯომი 3:0 გურია

ლოკომოტივი 2 3:0 ვალარეული

სპარტაკი 2:1 დინამო 2

დღეს

კახეთი — მერანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო მინაზე



ბადრი კეთილაძის ფოტოები

თბილისი. 25 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი. 1 000 მაყურებელი

თბილისი 5:0 დინამო

1:0 მიქაძე (15), 2:0 ორბელაძე (45), 3:0 ფიფია (58), 4:0 გენაძე (64), 5:0 ჯალაძე (87)

დევაძემ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)

თბილისი: დევაძე, გენაძე, დ. ოდიკაძე (ლოლაძე 66), გოგუა (გ. ნუგ. ჭელიძე 70), ხოჯავა (ა. კალაძე 74), ელიავა, გ. მიქაძე, მიქიაშვილი, გ. კვარაცხელია, ორბელაძე, ფიფია *სათადარიგონი:* შეყრილაძე, მესხი, მიკუჩაძე, ჯიქია **მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი	**დინამო:** ზოიძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, სალუქვაძე, შაშიაშვილი (დვალი 46), ალადაშვილი, ლ. ახალაია (კაკალაძე 66), კაშია, მელქაძე (კ. მახარაძე 66), გიგაური, კანკავა *სათადარიგონი:* მამალაძე; ხმალაძე, ქუცურუა **მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: გოგუა (56), კვარაცხელია (84), სალუქვაძე (90)

გაძევება: მიქაძე (45), გიგაური (45)

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

დავით თავართქილაძე

2001 წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამომ“ შინ „ვიტ ჯორჯიასთან“ 2:5 წააგო. მაშინ დინამოელებს გივი ნოდია წვრთნიდა. მომდევნო წლიდან „დინამო“ ივო შუშაკმა ჩაიბარა და ორ წელიწადზე მეტი ისე გავიდა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში „დინამო“ დიდი ანგარიშით არ დამარცხებულა. ერთი სიტყვით, სამი წელი „დინამოს“ საქართველოში დიდი ანგარიშით არ წაეგო და ძალიან პარადოქსულია, რომ ეს გია გეგუჩაძის ხელში დაემართა — გეგუჩაძის „დინამომ“ ხომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ევროფრონტზე არნახულ წარმატებებს მიაღწია მიმდინარე სეზონში. გუშინ კი გეგუჩაძის „დინამომ“ ანტირეკორდიც დაამყარა — ხუთბურთიანი სხვაობით „დინამოს“ აქამდე არასდროს წაეგო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში.

მატჩის წინა დღეს „თბილისის“ თავკაცმა გიორგი დევდარიანმა „სარბიელს“ უთხრა, გაისად სასწავლებლად გერმანიაში მივდივარ, ეს ამ სეზონში ჩემი ბოლო თამაშია „დინამოსთან“ და მოგების დიდი სურვილი მაქვსო. დევდარიანმა მართლაც ჩინებულად გამოიყენა საკუთარი გუნდის რესურსები და „გაევროპელებულ“ „დინამოს“ ჭკუა ასწავლა.

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია „სოშოსთან“ მძიმე თამაშიდან სამ დღეში ძალების სრულად აღდგენა, მაგრამ 0:5-ის გასამართლებელ საბუთად ეს გამოდგება?..

როგორც კი მატჩი დაიწყო, გამოჩნდა, რომ „დინამო“ მხნედ და ნედლად არ გამოიყურებოდა. „თბილისი“ კი თავქუდმოგლეჯილი არ წასულა შეტევაში, თითქოს მეტოქის შეცდომას უფრო უცდიდა.

ისე, „დინამოს“ „სოშოსთან“ მატჩისას დასვენებული ხალხიც ჰყავდა სასტარტო თერთმეტეულში: ირაკლი ზოიძე, დავით გიგაური და ჯაბა კანკავა, ხოლო კახა ალადაშვილმა „სოშოსთან“ ოდენ ჩვიდმეტი წუთი ითამაშა შეცვლაზე, მაგრამ ენერგიულობა არც ამ ფეხბურთელებს ეტყობოდათ.

კანკავა 18 წლის გახლავთ და მისგან სტაბილურობის მოთხოვნა შეუძლებელია. „დინამოს“ ნახევარდაცვის ბურჯს თბილისელები წვრილწვრილი ჯარიმებითაც აჩერებდნენ და თამაშიდან გამოთიშეს კიდეც.

ირაკლი ზოიძე პირველად დავით ოდიკაძემ გაავარჯიშა — მარცხენა ფლანგიდან მოჭრილი დაურტყა შორეულ მაღალ კუთხეში, რაც „დინამოს“ მეკარემ გააუვნებლა.

თბილისელთა შეტევების წარმმართველი გოჩა ხოჯავა გახლდათ, რომელიც ცაციას ტრანკვილიზატორივით ხმარობდა — „დინამოს“ დაცვის ეშელონებს ეფექტურად აბრუებდა. პირველი გოლი ასე გავიდა: გოგიტა გოგუამ გოგი ფიფიას გაუჭრა პასი, მან კი გიორგი მიქაძე გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, რომელმაც ახლო მახვილი კუთხიდან გაუტანა ზოიძეს.

ანგარიშის გაზრდა ხოჯავას მართებდა — ბურთით დაახლოებით 30 მეტრი ირბინა, მატაობას და „პოდსებიას“ მარჯვენით დარტყმა მიაყოლა, მაგრამ ზოიძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

„დინამო“ ერთხელ დაემუქრა „თბილისის“ კარს პირველ ტაიმში — ალადაშვილის ჩაწოდებულს ლევან მელქაძემ დაჰკრა თავი, თუმც ახლოდან განზე გაუშვა ბურთი.

ტაიმის ბოლო წუთზე „თბილისმა“ მარჯვენა ფლანგზე ჯარიმა მოინდირა. ხოჯავა ჩასაწოდებლად ემზადებოდა, როცა „დინამოს“ საჯარიმოში დავით გიგაურმა და გიორგი მიქაძემ ჯაჯგურს ჩხუბიც მიაყოლეს — არბიტრმა მერაბ მალაღურაძემ ორივეს წითელი ბარათი აუფრიალა. ამის შემდეგ კი ხოჯავამ მაღალი ბურთი ჩააბზრიალა ზოიძის კარის მაღალი კუთხისკენ და სერგო ორბელაძემ ყველას თავით დაასწრო — 2:0.

მეორე ტაიმისთვის მინდორზე ოცი ფეხბურთელი იყო და მეტი სივრცე „თბილისმა“ კარგადაც გამოიყენა. კონტრშეტევაზე ხოჯავამ მოხდენილი გადაცემით ფიფია შეატოვა ზოიძეს და 3:0.

შეიძლება ითქვას, რომ თამაში აქ დამთავრდა, თუმც მაყურებელს ალბათ „დინამოს“ პრესტიჟის გოლი მაინც ეიმედებოდა, მაგრამ გეგუჩაძის გუნდის მექანიზმი უკვე ძალიან მაგრად იყო მორყეული.

გოლთაგან ულამაზესი კი რევაზ გეწაძემ შეაგდო — ფიფიას ჩაწოდებულს ეფექტური თავური მიაყოლა.

ამის შემდეგ „დინამოსაც“ ჰქონდა გატანის შანსი — ჯაბა დვალმა მაკრატელათი ააცილა, ხოლო მიხეილ კაკალაძემ ძელს გაარტყა ბურთი — ორივე რაღაცნაირი, სასოწარკვეთილი დარტყმა იყო.

მატჩის ბოლო გოლი ანზორ კალაძის გამოდგა — ზაალ ელიავას პასი მიიღო და ჭვინტით შეაგდო ბურთი ზოიძის კარში.

მანამდე ზოიძესთან პირისპირ გივი კვარაცხელია და გიორგი ჭელიძე გავიდნენ, თუმც უხეიროდ დაარტყეს. შეხვედრის ბოლო წუთზე კი ლაშა სალუქვაძემ კალაძე წააქცია საჯარიმოში. 11-მეტრიანის შესასრულებლად აკაკი დევაძე ჩავიდა მოედნის მეორე ბოლოში და ისე დაარტყა, რომ ზოიძემ ბურთი მოიგერია...

„დინამო“ გუშინ მიწაზე დაუშვეს. ზოგი მიწაზე ფეხის დადგმით ძალას იკრებს. ალბათ, ახალ დინამოელებსაც ასე მოუვათ.

გია გეგუჩაძე: მეტოქემ ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა. ჩვენს დღევანდელ თამაშს „სოშოსთან“ მატჩმა კი დაჩნია კვალი, მაგრამ ამით თავის მართლებას არ ვაპირებთ. ისიცაა, რომ პატარა ბრეიკიც შეგვეპარა. თუ რამდენად სწორად აღვიქვამთ დღევანდელ მარცხს, მალე გამოჩნდება. გიორგი ნემსაძე დღეს იმიტომ არ გვყავდა, რომ მოწამლულია, რომერო კი ტრავმირებული.

გიორგი დევდარიანი: ჩემს ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი, ყველამ მაქსიმუმი გაიღო. „დინამოსთან“ თამაში ჩვენთვის დიდი მოტივაცია გამოდგა. ჩვენს გუნდზე რაღაც მითქმა-მოთქმა იყო, გუნდი ფსიქოლოგიურად მოშლილიაო, მაგრამ დღეს ყველამ ნახა, რომ ეს ასე არ არის. გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და პროცესებიც იქ უწყვეტია, მაგრამ მწვრთნელს არ აქვს იმის უფლება, რომ ყველა ეს პროცესი საჯაროდ გამოიტანოს. ყველაფერს დრო და გამოცდილება სჭირდება. რაც შეეხება სანდრო იაშვილს, რომელიც სამატჩო განაცხადში არ იყო, ძალიან პრობლემატური პიროვნებაა. იმედია, ის მოწესრიგდება ან ჩვენი კლუბის დატოვება მოუწევს.

ბადრი კეთილაძის ფოტო

„დინამოს“ ჩახუთვა გიორგი მიქაძემ (№15) დაიწყო

დინამო	12	8	2	2	27:14	26
თბილისი	12	7	2	3	26:13	23
ტორპედო	12	6	5	1	17:6	23
ბათუმი	12	6	3	3	18:8	21
ვიტ ჯორჯია	12	6	2	4	23:17	20
ლოკომოტივი	12	5	5	2	16:6	20
სიონი	12	3	1	8	11:28	10
ზესტაფონი	12	3	1	8	9:28	10
კოლხეთი	12	2	2	8	8:21	8
დილა	12	2	1	9	8:22	7

თათრეებმა ასათიანს ოქრო გაუძვირეს

მალხაზ ასათიანს და „ლოკომოტივს“ ჩემპიონობა სათუო გაუხდათ

ეს სეზონი კახა კალაძისთვის შესაძლოა, ბოლო იყოს „მილანში“. ქართველმა მცველმა სამიოდ დღის წინ „სარბიელთან“ ინტერვიუში განაცხადა, კლუბის დატოვებაზე სერიოზულად ვფიქრობო და ეს აზრი „ინტერთან“ მატჩის შემდეგ უფრო გაუმტკიცდებოდა. მილანურ დერბიში ჩვენებურის ადგილი არ მოიძებნა — კარლო ანჩელოტიმ კალაძე სამატჩო განაცხადშიც არ შეიყვანა.

კალაძის ამბებს მომავალშიც არაერთხელ დავუბრუნდებით, თემა კი „მილან“ — „ინტერის“ ჯახით დავასრულოთ. თანაქალაქელებმა ერთმანეთი დაჭამეს, თუმც გოლი ვერც ერთმა ვერ გაიტანა. „მილანი“ ახლა მესამე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და ლიდერ „იუვენტუსს“ ხუთი ქულით ჩამორჩება.

ბუნდესლიგის მეცხრე ტურშილა გატეხა ნავსი ალექსანდრე იაშვილმა. „ფრაიბურგის“ ქართველი თავდამსხმელი „შტუტგარტთან“ მატჩში გამოირჩა, სტუმრები გვარიანად გააწვალა და მეტად საჭირო გოლიც გაიტანა. „ფრაიბურგმა“ მეტოქე 2:0 დაამარცხა და სული მოითქვა, „იაშკა“ კი ჟურნალისტებმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

საგოლედ გაისროლა აუელმა ხვიჩა შუბითიძემაც. ერცგებირგული კლუბის ქართველ ფორვარდს მწვრთნელთან ურთიერთობა გაუფუჭდა და ადრინდელთან შედარებით იშვიათად თამაშობს. შუბითიძე „დუისბურგთანაც“ შეცვლაზე გამოჩნდა და ბოლო წუთზე გამოიჩინა თავი, თუმც აუე-მ მაინც წააგო — 1:2.

მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივმა“ საჩემპიონო გზიდან გადაუხვია. „რუბინთან“ მოგების შემთხვევაში რკინიგზელებს მშვენიერი შანსი ექნებოდათ ოქროს მედლების მოსაპოვებლად, მაგრამ... „ლოკომოტივის“ უპირატესობა მშრალი გამოდგა — მარტო ასათიანს ორჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. საერთოდ კი, ჩვენებურმა თავის გუნდში ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო.

საინტერესო ამბები მოხდა რუსეთის პირველ დივიზიონშიც. კერძოდ, „ხიმკის“ კარში პირველად ჩადგა *გიორგი ლომაია.* „ხიმკი“ სტუმრად „გაზოვიკს“ 1:1 დაუზავდა და ლომაიას გარდა *კალერი აბრამიძემაც* სრულად ითამაშა.

აი, *ზაზა ჯანაშიას, რომან ახალკაციასა* და *თემურ გადელიას* „ბალტიკა“ კი ოფიციალურად დაემშვიდობა პირველ დივიზიონს. კალინინგრადელებს უკვე თეორიული შანსიც აღარ შერჩათ. აქვე გეტყვით, რომ გუნდი მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი სიომინმაც დატოვა და მის გზას სეზონის დასრულებისთანავე ქართველებიც დაადგებიან.

უკრაინაში ორი ქართული გოლი გავიდა. ვასილ გიგიაძის გარჯამ „ტავრიას“ ვერ უშველა — სიმფეროპოლელები „კრივბასთან“ 1:2 დამარცხდნენ, *ირაკლი მოდებაძის* გატანილმა კი ზაპოროჟიელებს მარიუპოლიდან წაღებინა ქულა — 2:2.

აბა, ისე როგორ მოხდებოდა, ამირან მუჯირსაც არ გაეტანა. ცეესკამ 4:0 მიანგრია „ვიდიმა-რაკოვსკი“ და მასპინძლებს პირველად სწორედ ჩვენებურმა წაუხდინა ხასიათი. მუჯირი 9 მატჩში გატანილი 4 გოლით ბომბარდირებშიც გაერია.

კახა ზალამგერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	ინტერი 0:0	0	განაცხადში არ იყო	4	0	3
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	მაინცი 2:1	90	გააფრთხილეს	8	1	2
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	შტუტგარტი 2:0	78	1 გოლი, შეცვალეს	8	1	12
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	შტუტგარტი 2:0	0	ტრავმირებულია	7	1	12
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	შ	დუისბურგი 1:3	17	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	6	1	9
დავით სირაძე	ტრირი	შ	ერფურტი 2:0	0		4	0	8
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	შ	დანდი იუნ. 1:1	54	შეცვალეს	10	2	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	შ	დანდი იუნ. 1:1	90		6	0	2
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	ადმირა 0:0	78	გააფრთხილეს, შეცვალეს	13	2	9
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	რუბინი 0:0	90		19	1	2
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	შ	რუბინი 0:0	0	ტრავმირებულია	13	0	2
რატი ალექსიძე	როსტოვი	შ	ამკარი 0:0	0	სათადარიგო	7	0	13
მამუკა ლომიძე	როსტოვი	შ	ამკარი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	13
ვიტალი დარასელია	ალანია	შ	შინიკი 2:1	0	განაცხადში არ იყო	6	1	10
ლევან გვაზავა	ალანია	შ	შინიკი 2:1	6	შეცვლაზე ითამაშა	18	1	10
მიხეილ ყაველაშვილი	ალანია	შ	შინიკი 2:1	0	ტრავმირებულია	6	1	10
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	შ	სატურნი 0:2	90		12	0	14
დავით ნაკანი	ტორპედო	ს	ყუბანი 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	5
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
კახა ცხადაძე	ანჟი	შ	მეტალურგი 1:1	0	დისკვალიფიცირებული იყო	17	0	7
კახა მჟავანაძე	ანჟი	შ	მეტალურგი 1:1	53	შეცვალეს	28	0	7
ედიკ საჯაია	არსენალი		ტური გამოტოვა			26	0	14
გიზო ჯელაძე	სოკოლი	ს	ჩერნომორეცი 0:0	0		26	1	2
პაატა ჯინჭარაძე	ნეფტეხიმიკი	შ	დინამო (მ) 1:1	90		28	5	19
რევაზ გოცირიძე	კამაზი	შ	ურალანი 1:1	0		13	0	4
ზაზა ჯანაშია	ბალტიკა	შ	სკა ენერგია 1:3	0		10	2	20
თემურ გადელია	ბალტიკა	შ	სკა ენერგია 1:3	70	შეცვალეს	12	2	20
რომან ახალკაცი	ბალტიკა	შ	სკა ენერგია 1:3	90	გააფრთხილეს	15	0	20
გიორგი ლომაია	ხიმკი	ს	გაზოვიკი 1:1	90		1	0	9
ვალერი აბრამიძე	ხიმკი	ს	გაზოვიკი 1:1	90	გააფრთხილეს	7	0	9
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	სპარტაკი 2:3	90	2 გოლი, გააფრთხილეს	16	3	17
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	ს	დნიპრო 3:3	22	შეცვლაზე ითამაშა	8	0	3
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	დნიპრო 3:3	87	შეცვალეს	10	3	3
გოგა გახოკიძე	მ. დონეცკი	ს	დნიპრო 3:3	0	სარეზერვო გუნდშია	2	0	3
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	შ	ბორისფენი 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
ზურაბ იონანიძე	ტავრია	შ	კრივბასი 1:2	0	სარეზერვო გუნდშია	7	1	14
გია ჭანტურია	ტავრია	შ	კრივბასი 1:2	0		2	0	14
კახა ჩხეტიანი	ტავრია	შ	კრივბასი 1:2	0	განაცხადში არ იყო	4	0	14
ვასილ გიგიაძე	ტავრია	შ	კრივბასი 1:2	90	1 გოლი	9	5	14
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	შახტარი 1:0	70	შეცვალეს	9	1	7
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	ს	ილიჩევეცი 2:2	90	1 გოლი, გააფრთხილეს	4	2	11
ლაშა ჭელიძე	მ. ზაპოროჟიე	ს	ილიჩევეცი 2:2	0		1	0	11
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ირაკლი ვაშაკიძე	არისი	ს	პაოკ 2:2	0		2	0	15
ლევან მალრაძე	ქსანთი	შ	ერგოტელისი 3:0	90		5	0	2
თურქეთი. პირველი ლიგა								
გივი დიდავა	ქოჯაელი	შ	დარდანელი 1:0	0		6	0	9
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	პლოცკი	შ	ოდრა 1:0	90		9	0	6
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორლალიძე	სკონტო	ს	რიგა 4:2	27	შეცვლაზე ითამაშა	9	3	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	რიგა 4:2	65	გააფრთხილეს, გააძევეს	18	3	2
გიორგი ყიფიანი	სკონტო	ს	რიგა 4:2	0		8	2	2
ალექსანდრე რეხვიაშვილი	ვენტსპილსი	შ	მეტალურგსი 1:1	90	გააფრთხილეს	8	1	3
თამაზ პერტია	დინაბურგი	შ	დიტონი 4:0	90		22	1	4
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	ს	ვიდიმა 4:0	90	1 გოლი	9	4	1
კოტე დარსანია	ჩერნო მორე	შ	ნაფტექსი 2:0	74	შეცვალეს	3	1	7
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	ნაფტექსი 2:0	0		4	0	7
ლევან კაპანაძე	ბელასიცა	შ	პირინი 0:0	0		0	0	8
ლევან მიქაძე	ბელასიცა	შ	პირინი 0:0	0		0	0	8
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	შ	აელ 2:0	75	შეცვალეს	4	1	2
გიორგი ქინქლაძე	ანართოსისი	შ	აელ 2:0	15	შეცვლაზე ითამაშა	3	0	2
კლიმენტი წიტაიშვილი	ანართოსისი	შ	აელ 2:0	89	შეცვალეს	5	1	2
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	შ	აელ 2:0	0		2	0	2
დავით ჩალაძე	ანართოსისი	შ	აელ 2:0	0		3	0	2
ლევან ქებაძე	პარალიმნი	ს	ოლიმპიაკოსი 0:0	90		5	2	10
გიორგი ანჩაბაძე	პარალიმნი	ს	ოლიმპიაკოსი 0:0	76	შეცვალეს	5	1	10
ზვიად ლაბაძე	არისი	ს	აპოლონი 1:4	0		1	0	14
გიორგი ქორიძე	ოლიმპიაკოსი	შ	პარალიმნი 0:0	0		1	0	11

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

REUTERS მანჩესტერიდან

რუუდ ვან ნისტელროიმ გარისკა და გაიტანა

ტომატის წვნიანი სერ ალექსს

ჰენალტი არ იყო, თუმცა, როცა ჯაცს საჯარიმოში წააქცევენ, ჰენალტი ინიშნება

„მანჩესტერ“ — „არსენალის“ საკვირაო მატჩის ექო, რა თქმა უნდა, ორშაბათსაც გადმოწვდა. 49 თამაშში დაუმარცხებელ „არსენალს“ ძალიან ემწარა წაგება და მენეჯერმა არსენ ვენგერმა მარცხი მსაჯ მაიკლ რაილის დააბრალა: „რაილიმ პენალტი დანიშნა ჩვენს კარში, მაშინ, როცა სოლ კემპბელი რუნის არც შეხებია. ამან თამაშის ბედი გადაწყვიტა, თავად რუნიმაც ასე თქვა. ჩვენ გაგვძარცვეს. რაილი ყოველთვის ასე მსაჯობს „ოლდ ტრეფორდზე“. ძალიან ძნელია იმის ცქერა, თუ რა იოლად ნიშნავენ მსაჯები პენალტებს.

ჩვენ ჩვენს ქცევებზე ვართ პასუხისმგებლები და არა მსაჯისაზე. ამ სტადიონზე შარშანაც იოლად დადეს პენალტი ჩვენს წინააღმდეგ და ახლაც.

არ მგონია, ეს გამარჯვება მთელი ჩემპიონატისთვის გარდამტეხი რამ გამოდგეს. „მანჩესტერი“ თამაშს აუმჯობესებს და მე ამას პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენ, ვიმეორებ, გაგვძარცვეს. შეიძლება თამაში არ გამოგვიდეს და მაინც მაგრად ითამაშო. ახლაც ასე გამოვიდა. ამ მატჩიდან ჩემი ფეხბურთელებიც ბევრ სასარგებლოს შეიძენენ.“

„მეთოფეთა“ კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ კი თქვა:

„მსაჯი რაილი ხოსე ანტონიო რეიესზეც სცოდავდა. მას უხეშად ეთამაშებოდნენ, რაილი კი დუმდა. რას იზამ, როცა „ოლდ ტრეფორდზე“ თამაშობ, ამას უნდა შეეგუო. ჩვენ დავბრუნდებით და უფრო ძლიერები ვიქნებით. ქომაგებს კი სანერვიულო არაფერი აქვთ. ორმოცდაათიდან ერთი თამაში წავაგეთ“.

სერ ალექს ფერგიუსონი კი, ცხადია, გახარებულია: „ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. როცა ზედიზედ თამაშობ ფრეებს, ასეთი მოგება ძალიან საჭიროა. ვიმედოვნებ, რომ ეს გარდამტეხი მომენტია“.

ფერგიუსონმა თქვა, რომ პენალტის მომენტი არ დაუნახავს, თუმცა: „როცა კაცს საჯარიმოში აქცევენ, პენალტი ინიშნება. მსაჯის საქმე საძნელოა. მე მაგალითად ვხედავდი, როგორ ეხმარებოდა მსაჯს მთელი მატჩის მანძილზე პატრიკ ვიეირა. ძალიან ბევრს ელაპარაკებოდა.

ახლა მოგებები გვჭირდება, რათა „არსენალს“ საბოლოოდ წამოვეწიოთ“.

მენეჯერთა ეს აზრები კი ბევრად კულტურულია იმასთან შედარებით, რაც მატჩის შემდეგ „ოლდ ტრეფორდის“ გვირაბში მომხდარა: ჯერ არ ვიცით რომელს და „დეილი ტელეგრაფის“ მოწმობით, „არსენალის“ ერთ-ერთ ფეხბურთელს ტომატის წვნიანით სავსე ჯამი უსვრია ალექს ფერგიუსონისთვის. „მირორის“ ცნობით კი წვნიანიც და სენდვიჩიც. ამ ცნობის კომენტირებაზე ყველა უარს აცხადებს, თუმც „მეთოფენი“ უზომოდ გაბრაზებულნი იყვნენ:

ტიერი ანრიმ მეკარე როი კეროლს დაუწყო საქმის გარჩევა, სოლ კემპბელმა კი რუნის ხელი არ ჩამოართვა მატჩის შემდეგ. რუუდ ვან ნისტელროიც გაილანძღა ეშლი კოულისთვის ვერაგულად ჩარტყმისთვის.

ასე რომ, ვიეირა კი ეუბნება ქომაგებს ნუ ინერვიულებთო, მაგრამ „არსენალს“ ძალიან ძვირად ეღირდა ეს მატჩი.

ირაკლი გამყრელიძე

ვან ნისტელროიმ ეშლი კოული არ დაინდო

უეინ რუნის ამ წაქცევას პენალტი მოჰყვა

ბასტი ღიმილით დაბრუნდა

„მიუნხენის“ ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველ სებასტიან დაისლერს ფორიაქმა და გულგატეხილობამ ამ ჯერზე მხოლოდ შვიდი დღე აკმარა. წინა ორშაბათს ტურინიდან მსწრაფლ შინ დაბრუნებულ ფეხბურთელს განსაკუთრებული არაფერი რომ არ სჭირდა, მისი მკურნალი პროფესორი, ფლორიან ჰოლსბიორი უკვე ოთხშაბათსვე იუწყებოდა. ხუთშაბათს კი უკვე თავად დაისლერმაც განაცხადა, რომ თავს რიგიანად გრძნობდა. იგივე დაადასტურა პარასკევს მასთან ნასაუბარმა იურგენ კლინსმანმაც, ვისაც — მრავალ მილიონ ქომაგთან ერთად — ეს 24 წლის უნიჭიერესი გერმანელი თავისი განახლებული ბუნდესნაკრების ერთ-ერთ ღერძულ ფიგურად წარმოუდგენია. ჰოდა, ჩვენც რომ ბევრი არ გავიმასჯერთ, ძალიან მოკლედ გეტყვით, რომ გუშინ დაისლერი „ბაიერნის“ საწვრთნელ ბაზაზე დაბრუნდა და ივარჯიშა კიდეც. თვითმხილველთა თანახმად, ფეხბურთელი ძალიან კარგ ხასიათზე იყო და ვინმესთვის არც ჰალალი ღიმილი დაუმადლებია.

ლევან კელაურაძე

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. X ტური

დინამო — ბორისფენი 2:0; შახტარი — მეტალისტი 0:1; ჩერნომორეცი — ვორსკლა 1:1; ტავრია — კრივბასი 1:2; ილიჩევეცი — მეტალურგი (ზ) 2:2; ვოლინი — არსენალი 1:0; ზაკარპატია — ობოლონი 1:2; დნიპრო — მეტალურგი (დ) 3:3

შახტარი	10	9	0	1	20:3	27
დინამო	10	8	1	1	18:6	25
მეტალურგი (დ)	10	6	2	2	17:12	20
ვოლინი	10	5	2	3	10:9	17
ილიჩევეცი	10	4	4	2	18:10	16
კრივბასი	10	4	4	2	10:8	16
მეტალისტი	10	4	2	4	13:13	14
დნიპრო	10	4	2	4	15:17	14
ჩერნომორეცი	10	3	2	5	8:9	11
ობოლონი	10	2	4	4	5:7	10
არსენალი	10	2	4	4	7:14	10
მეტალურგი (ზ)	10	1	7	2	8:12	10
ზაკარპატია	10	2	3	5	8:13	9
ვორსკლა	10	2	1	7	5:13	7
ტავრია	10	1	3	6	7:13	6
ბორისფენი	10	0	5	5	5:14	5

უგედეთი

ალსვენსკა. XXV ტური

აიკ — იორგრიტე 0:3; კალმარი — იორებრო 0:1; ლანდსკრონა — ტრელებორგი 4:0; ელფსბორგი — ჰამარბი 0:1; ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი 1:2; გიოტებორგი — მალმიო 1:2; სუნდსვალი — იურგორდენი 0:1

ჰალმსტადი	25	14	7	4	52:26	49
მალმიო	25	14	7	4	43:21	49
გიოტებორგი	25	14	4	7	32:19	46
იურგორდენი	25	10	8	7	36:31	38
კალმარი	25	9	10	6	24:18	37
ჰამარბი	25	10	7	8	28:25	37
ელფსბორგი	25	8	8	9	25:31	32
ჰელსინგბორგი	25	7	9	9	40:31	30
ლანდსკრონა	25	7	9	9	27:31	30
იორებრო	25	8	6	11	30:45	30
სუნდსვალი	25	7	8	10	25:29	29
იორგრიტე	25	6	10	9	24:30	28
აიკ	25	4	10	11	20:34	22
ტრელებორგი	25	2	7	16	17:52	13

სერბეთი

პირველი ლიგა. XII ტური

ბორაცი — ბუდუჩნოსტი 0:2; ობილიჩი — რადნიჩკი 1:1; ოფკ — პარტიზანი 0:2; ცრვენა ზვეზდა — ჰაიდუკი (კ) 2:1; ვოივოდინა — სუტიესკა 3:0; ჟელეზნიკი — სარტიდი 0:1; ზემუნი — ჩუკარიჩკი 0:0; ზეტა — ჰაიდუკი (ბ) 5:2

სლოვაკეთი

I დივიზიონი. XII ტური

რუჟომბეროკი — პუხოვი 1:2; ტრენჩინი — დუბნიცა 0:4; ჟილინა — ბანსკა ბისტრიცა 4:0; ტრნავა — პეტრჟალკა 1:0; ინტერი — სობოტა 2:2

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XII ტური

ოლიმპია — დომზალე 1:1; პტუი — პუბლიკუმი 1:0; ზაგორიე — ლიუბლიანა 1:1; ბელა კრაინა — პრიმორიე 1:0; მურა — მარიბორი 2:3. ნოვა გორიცა — კოპერი გადაიდო

არგენტინა

აპერტურა. XII ტური

ინსტიტუტო — ოლიმპო 1:1; ესტუდიანტესი — ლანუსი 5:0; არსენალი — ალმაგრო 2:2; ოლდ ბოიზი — კილმესი 2:0; ბანფილდი — ხიმნასია 4:0; რივერ პლეიტი — სან ლორენსო 1:2; არგ. ხუნიორსი — ბოკა ხუნიორსი 1:0; ურაკანი — ველესი 0:1; კოლონი — ინდეპენდიენტე 0:0; რასინგი — როსარიო 0:2

ოლდ ბოიზი	12	7	4	1	14:5	25
ველესი	12	8	1	3	14:10	25
ესტუდიანტესი	12	6	5	1	16:6	23
ბოკა ხუნიორსი	12	6	2	4	19:9	20
სან ლორენსო	12	6	2	4	18:14	20
რივერ პლეიტი	12	5	4	3	18:16	19
ბანფილდი	12	4	6	2	16:10	18
ინდეპენდიენტე	12	5	3	4	16:12	18
ლანუსი	12	4	6	2	15:15	18
კილმესი	12	5	3	4	10:11	18
ხიმნასია	12	5	3	4	12:15	18
კოლონი	12	4	5	3	12:9	17
როსარიო	12	4	4	4	8:8	16
ალმაგრო	12	3	6	3	9:10	15
არსენალი	12	2	7	3	8:9	13
არგ. ხუნიორსი	12	3	3	6	6:9	12
რასინგი	12	3	1	8	10:15	10
ოლიმპო	12	1	3	8	8:19	6
ურაკანი	12	1	3	8	9:22	6
ინსტიტუტო	12	1	3	8	9:23	6

ბრაზილია

სერია A. XXXVII ტური

გრემიო — ინტერნასიონალი 1:3; პაისანდუ — გოიასი 4:2; კრუზეირო — ატლ. მინეირო 0:3; კურიტიბა — ფუვენტუდე 2:3; ბოტაფოგო — ვიტორია 1:1; პალმეირასი — ატლ. პარანენსე 3:1; სან პაულუ — სანტოსი 1:0; კრისიუმა — ფიგეირენსე 2:1; ვასკუ და გამა — ფლამენგო 1:0; სან კაეტანო — ფლუმინენსე 2:0; გუარანი — პონტე პრეტა 0:0; პარანა — კორინთიანსი 1:2

ატლ. პარანენსე	37	20	9	8	71:42	69
სანტოსი	37	21	5	11	82:52	68
სან პაულუ	37	19	8	10	58:33	65
სან კაეტანო	37	19	8	10	50:30	65
ფუვენტუდე	37	18	8	11	52:47	62
პალმეირასი	37	17	11	9	60:37	62
გოიასი	37	17	7	13	70:60	58
კორინთიანსი	37	15	12	10	39:43	57
პონტე პრეტა	37	16	6	15	31:55	54
ფლუმინენსე	37	14	11	12	50:54	53
ფიგეირენსე	37	13	12	12	47:46	51
კურიტიბა	37	12	14	11	41:38	50
ინტერნასიონალი	37	14	7	16	50:48	49
კრუზეირო	37	13	8	16	54:61	47
პაისანდუ	37	12	10	15	48:66	46
ვასკუ და გამა	37	12	9	16	53:54	45
კრისიუმა	37	12	7	18	49:59	43
ატლ. მინეირო	37	9	15	13	46:57	42
ფლამენგო	37	10	11	18	39:41	41
ვიტორია	37	11	7	19	60:69	40
ბოტაფოგო	37	8	16	13	50:58	40
პარანა	37	10	8	19	41:64	38
გრემიო	37	8	11	18	48:60	35
გუარანი	37	7	14	16	31:46	35

მექსიკა

აპერტურა. XII ტური

ხაგუარესი — გვადალახარა 0:0; კრუზ ასული — ტიგრესი 1:1; მონტერეი — მორელია 2:1; სინალოა — ტოლუკა 0:1; ატლასი — ვერაკრუსი 2:0; ამერიკა — პაჩუკა 1:1; პუებლა — უნამი 2:3; სანტოს ლაგუნა — ატლანტე 2:1; ტეკოსი — ნეკაქსა 0:1

მადონინა იუვენტუსმა მოიგო

ამრიგად, ახალი სეზონის პირველი მადონინა ფრედ დასრულდა, „სან სირომ“ თავის ორივე ბინადარს, „ინტერსა“ და „მილანს“, თითო ქულა გაატანა ცხრილში წასამატებლად და ორივეს მწვრთნელს როგორც სამართლიანობის, ასევე უკმაყოფილობის შეგრძნება დაუტოვა



კარლო ანჩელოტი და რობერტო მანჩინი

მადონინას სილვიო ბერლუსკონიმაც უყურა

„ფრე ცუდი არ არის — განაცხადა „შავ-წითლების“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — მით უფრო, რომ დაცვაში ფაქტობრივად პრობლემა არ გვქონია, ხოლო მოგების რამდენიმე შესაძლებლობა, პირიქით, გვქონდა. მინდა განსაკუთრებით ჩემი მცველების თამაში აღვნიშნო. ძალიან ცოტა შეცდომა დაუშვა ერთად აღებულმა ყველა რგოლმაც. პირველ ტაიმში კრისტიან ვიერის და ადრიანოს ცალკეული შესაძლებლობა დავუთმეთ და სულ ეს იყო. ამას თუ არ ჩავთვლით, ბურთიც ვაკონტროლეთ და თამაშის სადავეებიც ხელთ გვეპყრა“.

ამ შეხვედრაში ანჩელოტიმ ბევრი იმით გააკვირვა, რომ თავდასხმაში ანდრეი შევჩენკოს მეწყვილედ ერნან კრესპო განაწესა, ხოლო ფილიპო ინძაგი სადღაც სკამზე დასვა.

„კრესპოზე არჩევანი ერთკვირიანი დაკვირვების შემდეგ შევაჩერე. ის, ბოლოს და ბოლოს, ფორმას იბრუნებს და ძალიან ბევრს მუშაობს მთელი გუნდის სასიკეთოდ. შესაძლოა, როგორც თავდამსხმელს ცოტა სიმწვავე აკლდა, მაგრამ ჯამში კარგად ითამაშა. მე ხომ დიდი ხანია ვეძებდი ფორვარდს, რომელიც უბურთოდ იქნებოდა ძალიან სასარგებლო და მოწინააღმდეგის საჯარიმოში სივრცეს გამოძებნიდა. ამ სივრცეში იონ დალ ტომასონი შეძლებს ღრმად შესვლას და გოლების გატანას.“

კვირა საღამოს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად რატომღაც ალესანდრო ნესტა დაასახელეს, არადა, ბევრის აზრით ყველას კაკა სჯობდა.

„კაკა მშვენივრად ქმნიდა სივრცეებს და სიღრმიდან წამოწყებული შეტევებით „ინტერს“ დიდ პრობლემებს უქმნიდა. ვფიქრობ, იგი ახლოსაა იმ ფორმასთან, რომლითაც გასულ სეზონში ყველას ასე მოგვაწონა თავი“.

დაახლოებით ანჩელოტისებურად, ოღონდ თავის სასარგებლოდ აღიქვა მატჩი „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

„მგონი, მთელი თამაშის განმავლობაში გამარჯვების მეტი შესაძლებლობა ჩვენ გვქონდა, მაგრამ საბოლოოდ, გულწრფელად შეიძლება ითქვას, რომ ფრე სამართლიანი შედეგი გამოდგა — განაცხადა „შავ-ლურჯმა“ რეფორმატორმა — შეხვედრის დასაწყისში კრისტიან ვიერის ჰქონდა სამი დიდებული მომენტი, შემდეგ ორიოდ შანსი ადრიანოსაც მიეცა, მაგრამ ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ „ინტერმა“ თავდაუზოგავად იბრძოლა და მხოლოდ გამარჯვებისკენ ილტვოდა. მერედა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისეთ გუნდთან როგორიც „მილანია“, ფრედ თამაში ცუდი შედეგი სულაც არ არის“.

აღსანიშნავია, რომ „ინტერის“ ყველა გაფრთხილებულმა ფეხბურთელმა ყვითელი ბარათი კაკას წინააღმდეგ უხეშობისთვის მიიღო, რაზეც მანჩინიმ ასე ბრძანა:

„როგორც ესტებან კამბიასო, ასევე ხუან სებასტიან ვერონი ცდილობდნენ შემოქმედებითი ფეხბურთი ეთამაშათ და ამიტომ, ხანდახან კაკა მხედველობიდან გამორჩებოდათ ხოლმე. კაკა ხომ ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის მოძრაობდა. საერთოდ, რომბისებურ ნახევარდაცვას „მილანი“ უფრო გრძივად იყენებდა, ვიდრე ჩვენ, თუმცა ეს არაფერი. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ბურთის შედარებით ხშირი კარგვა გახლდათ. ანდი ვან დერ მეიდე კი იმიტომ შევიყვანე მოედანზე, რომ გამარჯვება მინდოდა და ვან დერ მეიდეს „მილანის“ ფლანგზე ზეწოლა დავავალე“.

ზემოთ ვახსენეთ, რომ კარლო ანჩელოტი განსაკუთრებით მცველებით გახლდათ კმაყოფილი და მატჩის საუკეთესოდ ალესანდრო ნესტა დაასახელეს, რომელმაც ადრიანო მნიშვნელოვანწილად გააუნებლა.

„მე თუ მკითხავთ, დღეს, მთელ მსოფლიოში, ადრიანოს გამჩერებელი მხოლოდ ნესტა და იაპ სტამი არიან. ამ ამოცანას ძალიან დიდი ღონე და ტექნიკა სჭირდება და ნესტამაც კარგად გაართვა მას თავი“ — შეაქო მეტოქე მანჩინიმ.

თავად ნესტა შეხვედრის შესახებ ასეთი აზრისა დარჩა: „მეორე ტაიმს რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, ცოტა მეტი თავდადებით გამარჯვებასაც შევძლებდით. სამწუხაროა, შესაძლებლობები რომ ვერ გამოვიყენეთ. ადრიანოზე კი იმას გეტყვით, რომ ის ღონიერია, სწრაფი და გოლის გატანის ათასი ვარიანტი იცის. ამიტომაც, დღეს ყველაფერმა კარგად ჩაიარა. კიდევ, იმას დავძენ, რომ ამ სეზონში ძალიან ბევრი თამაში გვიწევს, ხოლო სამ დღეში ერთხელ ძალების აღდგენა ძნელია“.

კვირის მადონინას შესახებ ითქვა კიდეც, რომ „მილანისა“ და „ინტერის“ ფრით სინამდვილეში „იუვენტუსმა“ იხეირა. ასეთი სათაურიც კი იყო: „მილანური დერბი იუვენტუსმა მოიგო“.

„დიდ გუნდებთან „იუვეს“ ჯერ არ უთამაშია — თქვა ნესტამ და დასძინა — იმედი მაქვს ამ თამაშებში ტურინელები ქულებს დაკარგავენ“.

„მილანის“ შეფი, იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი:

„კარგი თამაში იყო, დაძაბული და ტექნიკური. „ინტერმა“ კარგი ფეხბურთი ითამაშა, ამ გუნდს ნამდვილად კარგი თავდამსხმელები ჰყავს, მაგრამ ჩვენმა მცველებმა დიდი ოსტატობა გამოიჩინეს, მათ გასაქანი არ მისცეს. საერთოდ, „მილანის“ თამაშითაც კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ ისიც საოქმელია, რომ დღეს „იუვენტუსმა“ კიდევ ორი ქულა მიიწერა“.

კაკა: „მეც ვფიქრობ, რომ დღეს „იუვენტუსმა“ გაიმარჯვა. მართალია, სეზონი ძალიან დიდია, მაგრამ ტურინელებს ხუთქულიანი უპირატესობა აქვთ და ეს ბევრია. ამიერიდან თამაში თამაშზე უნდა მოვიგოთ, სხვა გზა უბრალოდ არ გვაქვს“.

თანაგუნდელისა და პრეზიდენტისგან განსხვავებით დერბის დამთავრების შემდეგ ცხრილს ძალიან მშვიდად ჩაჰხედა პაოლო მალდინიმ:

„მართალია, სეზონი „იუვენტუსმა“ ძალიან ძლიერად დაიწყო, მაგრამ ოქტომბერში მათი უპირატესობისა რატომ უნდა შეეგეშინდეს?“

დერბის ერთ-ერთი თვალსაჩინო გმირი „ინტერის“ 37 წლის მეკარე ალბერტო ფონტანა გახლდათ, რომელმაც, როგორც უკვე ამბობენ, თვით ფრანჩესკო ტოლდო მოისროლა სათადარიგოთა სკამზე.

„ორივე გუნდმა გამარჯვებისთვის ითამაშა და მომენტებიც შექმნა. მგონი, საგოლე მომენტი ნებისმიერ წამს შეიძლებოდა შექმნილიყო როგორც ერთ ასევე მეორე კართან და ამან ქომაგები კმაყოფილი დატოვა. ერთადერთი, რაც ამ თამაშს აკლდა, გოლი იყო. მე ვცდილობდი, ყოველი მომენტი ამომეცნო, წამეკითხა და თადარიგით დავხვედროდი, თუმცა ისიც მესმის, რომ შევჩენკოსაც შეეძლო გოლის გატანა, ბურთი კარგად რომ მისვლოდა ფეხთან... მოკლედ, მუდმივი რისკის წინაშე ვიდექი“.

პაპუნა კედია

არგენტინულ-ბრაზილიური დუელი: ინტერელი ხავიერ ძანეტი და მილანელი კაკა

ალესანდრო ნესტა ადრიანოს მაგრად დაუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც კაპელო, იქაც კასანო

სენსის ცოლმა ანტონიო რომაში დატოვა

როგორც ჩანს, ანტონიო კასანოს დღეები „რომაში“ დათვლილია — „იუვენტუსის“ სატრანსფერო საქმეთა შეფმა, ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, რომაელებთან თავდამსხმელის თაობაზე საუბარი მსურსო



ლუჩანო მოჯიმ ანტონიო კასანოს თვალი დაადგა

„ჩვენ გვინდა კასანოს ყიდვა, მაგრამ რომაელი მეგობრების ინტერესებს არასდროს მივაყენებთ შეურაცხყოფას“ — თქვა „ბებერი ქალბატონის“ გენერალურმა დირექტორმა, რომელმაც გასულ ზაფხულს ემერსონის გამო იმ რომაელ მეგობრებს კინაღამ თავი წააჭამა. გეხსომებათ, „რომას“ ბრაზილიელი ნახევარმცველის „რეალში“ ან „ჩელსიში“ გაყიდვა სურდა, მან კი დაიჩემა, რომ თუ სადმე წავიდოდა, მხოლოდ „იუვენტუსში“, ყოფილ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსა და ყოფილ თანაგუნდელ ჯონათან ძებინასთან. ერთი სიტყვით, ემერსონი იყიდა გუნდმა, რომელიც ნაკლებს იხდიდა.

მოჯიმ განაგრძო: „ანტონიო მსოფლიო კლასის ფეხბურთელია და იმის თქმა, რომ მისი ხილვა ჩვენს გუნდში არ გვინდა, ტყუილი და თვალთმაქცობა იქნებოდა. მეორე მხრივ, ნებისმიერი სატრანსფერო მოლაპარაკება იქნება კლუბთან და არა უშუალოდ ფეხბურთელთან“.

შეგახსენებთ ემერსონის ამბავს: ბრაზილიელი აცხადებდა, რომ „იუვენტუსის“ წარმომადგენლებთან ხელი არაფერზე მოუწერია, ეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი „რომაში“ ირიცხებოდა — თუმცა ყველამ იცის, რომ მას და მოჯის ხელფასი და სხვა ამბები უკვე მოლაპარაკებულ-მოგვარებული ჰქონდათ.

„რომაელები სატრანსფერო ბაზარზე ჩვენი თანამშრომლები არიან და პატივისცემას იმსახურებენ. მით უფრო, როდესაც საქმე ეხება კასანოს, რომელიც 2006 წლამდეა ამ კლუბთან კონტრაქტით შეკრული. ამიტომ, თუ ჩვენ ჯინმესთან რამეზე დავილაპარაკებთ, უშუალოდ პრეზიდენტ ფრანკო სენსისთან“ — ბრძანა მოჯიმ.

კასანოს ამბავი ახალი ძალით მაშინ აგორდა, როდესაც სწორედ „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ განაცხადა:

„არ ვარ დარწმუნებული, რომ კასანოს გუნდში დატოვება მსურს. ცხადია, კონტრაქტის შესახებ ხელახალი მოლაპარაკება ზრობლემა არ არის, მაგრამ გააჩნია ვისთან. „ლევერკუზენთან“ კასანომ საძაგლად ითამაშა.“

სენსის ეს განცხადება იყო და კასანო მარტო ვარჯიშზე გადავიდა. ოფიციალურად ამას ფორმაში შესვლის თუ ფორმის აღდგენის მიზნით ინდივიდუალურ ვარჯიშზე გადასვლა უწოდეს, მაგრამ სად სად და, თუ იტალიაში ფეხბურთელი თავისთვის ძუნძულს იწყებს, ესე იგი, საკონტრაქტო ამბებია მოსაგვარებელი.

ანტონიო კასანო 22 წლისაა. იგი 18 წლის იყო, როდესაც „რომამ“ „ბარისგან“ დაახლოებით 35 მილიონ დოლარის ფარგლებში შეიძინა. მაშინ „რომამ“ სწორედ „იუვენტუსს“ აჯობა ვაჭრობაში, მაგრამ როგორც ხედავთ, კასანომ, დიდი შანსია, კარიერა მაინც „იუვეში“ განაგრძოს.

...თუმცა ერთი საოცარი ნათქვამის ამბავიც რომ არ გითხრათ, არ შეგვიძლია. ქალბატონმა მარია სენსიმ, პრეზიდენტ ფრანკო სენსის მეუღლემ განაცხადა:

„სანამ ჩემი ქმარი ამ თანამდებობაზეა, კასანოს „იუვენტუსი“ ვერ წაიყვანს!“

რას ნიშნავს ეს? ქალბატონმა სენსიმ მამაკაცური დიპლომატიის გარეშე გამოხატა მისი ქმრის ნამდვილი დამოკიდებულება ტურინელებისადმი?

პაპუნა კედია

არ ჩამოვალ, არაო!

ტექნიკით მგავს? მგავს!..

ხუან სებასტიან ვერონმა იტალიაში ხელახლა დაიწყო ცხოვრება და ლონდონის „ჩელსის“ უთვლის, მანდ დამბრუნებელი არ ვარ, „ინტერში“ ჩემი გაქირავების ვადაც რომ გავა, მაინც არ მელოდოთო.

„დიდი სიამოვნებით დავრჩები „ინტერში“, თუმცა მესმის, რომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, უახლოეს თვეებში რა მოხდება“ — ამბობს „პარმაში“, „სამპდორიასა“ და „ლაციოში“ ნათამაშევი არგენტინელი ვარსკვალი, რომელიც „ლაციომ“ 28 მილიონ ინგლისურ გირვანქად მიჰყიდა „მანჩესტერ იუნაიტედს“, საიდანაც იგი შემდეგ „ჩელსიში“ გადავიდა, ხოლო „ჩელსიმ“ „ინტერს“ მიაქირავა.

„გარდა ამისა, ძალიან მინდა არგენტინელი ქომაგების სიყვარული დავიბრუნო. მე უკვე 29 წლის ვარ და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის ბოლო იქნება. მინდა ამ მუნდიალზე არგენტინის ნაკრების ცენტრალური ფიგურა გავხდე“ — გულახდილად თქვა ნახევარმცველმა.

ხოლო ბრაზილიელმა დიდვარსკვლავმა რონალდომ კიდევ ერთხელ იხელთა მომენტი და აღიარა, რომ ადრეული გაუგებრობების მიუხედავად მისი საყვარელი გუნდი „ინტერია“.

„მე ძველებურად მიყვარს „ინტერი“ და თუ ოდესმე „რეალიდან“ სადმე წავალ, „სან სიროზე“ დავბრუნდები, სადაც ჩემზე კლუბს და ქომაგებს დიდი ამაგი აქვთ“ — უთხრა „ილ ფენომენომ“ იტალიის ერთ-ერთ ტელეარხს.

„მე ვუყურე როგორ დაამარცხა „ინტერმა“ „ვალენსია“ 5:1 და ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნამდვილად ვერ გეტყვით, დღეს მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი არის თუ არა ადრიანო, მაგრამ მისი სიმძლავრე და ტექნიკა, აფეთქების უნართან ერთად დიდებულია. ის ძალიან მგავს თამაშის სტილით“.

პაპუნა კედია

ხუან სებასტიან ვერონი

წადი შენიო და წავიდა

მონდონიკო უვიც პატრონს გაექცა

გუშინ იტალიაში კიდევ ერთმა მწვრთნელმა დატოვა სამსახური — ფლორენციული „ფიორენტინას“ პრეზიდენტმა დიეგო დელა ვალემ ულვაშა ემილიანო მონდონიკოს მიუთითა კარისკენ.

მიზეზი კი ერთი შეხედვით ძალიან საინტერესოა, რადგან მონდონიკო ცუდი სტარტის გამო (სერია A-ს ცხრილში მე-14 ადგილი, 1 მოგება, 4 ფრე, 2 წაგება) არ გაუშვიათ, პირიქით, მას ენდობოდნენ კიდეც, მაგრამ მწვრთნელმა თურმე თავად გამოიჭრა ყელი, რადგან... „იების“ პრეზიდენტისთვის ისეთი რამე-რუმეები უთქვამს, დონ დიეგოს სხვა გზა არ დარჩენია.

და მაინც, რა თქვა ასეთი მონდონიკომ, დელა ვალე რომ გააცეცხლა? რა და მწვრთნელმა პრეზიდენტს არც მეტი, არც ნაკლები, დილეტანტი უწოდა, კლუბის ეგეთი უვიცი პატრონი ცხოვრებაში არ შემხვედრიაო.

სერჯო ბუზი, „ფიორენტინას“ მეკარეების მწვრთნელი: „ძალიან გაკვირვებული ვარ, ემილიანოს ყველანი თავდაჭერილ კაცად ვიცნობთ და რა მოხდა პრეზიდენტსა და მას შორის ვერაფერს გეტყვით“.

ემილიანო მონდონიკო

ფლორენციული კლუბი ახლა უმთავარმწვრთნელოდაა და ამბობენ, „რევჩინასთან“ ხვალინდელი მატჩისთვის გუნდს სწორედ ბუზი დამოძღვრავს, მერე კი „იებს“ ახალი კაცი ჩაიბარებსო.

ეს „ახალი“ კი ორია — ან „უდინეზეს“, „მილანის“, „ლაციოს“ და „ინტერის ყოფილი თავკაცი ალბერტო ძაკერონი ანაც „პარმას“ ექსმესაჭე ალბერტო მალეზანი.

დათო ძოკალიანი

ზიდანმა მომავლის რეალი დაინახა



მადრიდის „რეალის" ფრანგი ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი „ვალენსიასთან" საშინაო გამარჯვებით ხარობს და მიაჩნია, რომ ყასტილიური გრანდის საამსეზონო გასაჭირი ნელ-ნელა ისტორიას ბარდება

— „ვალენსიასთან" მატჩს როგორ შეაფასებდით?

— მიხარია, რომ კიევის „დინამოსთან" ჩემპიონთა ლიგაში მოგებულ თამაშს „ბერნაბეუზე" საპრიმერო გამარჯვებაც მოჰყვა. თუმცა „ვალენსიაისთან" 3 ქულა იოლად არ მოგვიპოვებია — მეტოქემ საკმაოდ კარგად ითამაშა და ძალიან დაძაბული შერკინება გამოდგა. პირველი ტაიმი შესანიშნავად ჩავატარეთ, ინჩასებმა ნამდვილი „რეალი" იხილეს და ჩვენც, რა თქმა უნდა, ვეცდებით, მომავალში ასევე გავაგრძელოთ.

— არ გაღელვებთ, რომ „რეალს" ასე ცოტა გოლები გააქვს?

— არა, ჩემი აზრით, ამ მხრივ საგანგაშო არაფერია. ყველამ ვიცით, რომ „ბერნაბეუზე" ამ სეზონში საქმეები ისე არ წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო, თუმცა ნელ-ნელა ალბათ სიტუაციას გამოვასწორებთ და ცუდი, „მშრალი" მატჩები ისტორიას ჩაბარდა. გოლები ცოტა გაგვაქვს, სამაგიეროდ, სახიფათო ეპიზოდებს მრავლად ვქმნით. „ვალენსიასთან" დადებით შედეგს მივაღწიეთ. იმედია, ბედი არც მომდევნო მატჩებში გვიმტყუნებს.

—„ვალენსიასთან" გამარჯვებას რიგით შეხვედრაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს — კლაუდიო რანიერის შეგირდები პრიმერას პირველობისთვის ბრძოლაში „რეალის" ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად ითვლებიან...

— „რეალი — ვალენსიას" დაპირისპირებას ყოველთვის უზარმაზარი აჟიოტაჟი ახლავს. ცხადია, ძლიერი მეტოქის დამარცხება სხვა მატჩების მოგებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

— როგორ ფიქრობთ, სამეფო გუნდს წლევანდელი კრიზისიდან თავის დაღწევა ძალიან გაუჭირდება?

— „რეალის" კრიზისი მეტწილად მედიამ გააზვიადა... წესით და რიგით, ცხრილში დაწინაურება არ უნდა გაგვიჭირდეს. თუმცა შაბათს რანიერის გუნდთან საკმაო პრობლემებიც გვქონდა. განსაკუთრებით ძნელი შეხვედრის მეორე ტაიმი გამოდგა, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ. „სანტიაგო ბერნაბეუზე" ახლა იმაზე უკეთესად ბურთაობენ, ვიდრე ორიოდ კვირის წინ.

— გარსია რემონმა მოედანზე გარკვეული გადაადგილებები მოახდინა. ახალ პოზიციაზე თამაშს როგორ შეეჩვიეთ?

— „რეალის" ნებისმიერი ფეხბურთელი გუნდის მოგებისთვის ზრუნავს და ჩემთვის — ისევე როგორც ალბათ ყველასთვის — სულ ერთია, რემონი მინდორზე რა ადგილზე მათამაშებს.

— რას ფიქრობთ რემონის სტრატეგიის შესახებ?

— თქვენ თუ „რეალში" შემტევი, ლამაზი ფეხბურთის ტრადიციებზე მეკითხებით, გიპასუხებთ, რომ მწვრთნელი არ შემცდარა, აქცენტი მოიერიშეებზე რომ გადაიტანა. თუ გუნდმა გოლები არ გაიტანა, ვერ მოიგებს. მეტოქის კარის აღება კი სხვებზე მეტად მოიერიშეებს ეხერხებთ.

— ბოლო ორ შეხვედრაში გოლები მაიკლ ოუენმა გაიტანა. ინგლისელმა „სანტიაგო ბერნაბეუს" ინჩადას თავისი ოსტატობა დაუმტკიცა...

— ადრე თუ გვიან ეს გარდაუვალი იყო. მაიკლი ჩინებული ფეხბურთელია და რომც მოენდომებინა, მოედანზე საგოლე ალღოს დიდხანს ვერ დამალავდა... შეხვედრის დასაწყისში მისმა სწრაფად გატანილმა ბურთმა „ვალენსია" ძლიერ დააბნია, პრაქტიკულად მთელი პირველი ტაიმი გონზე მოსვლას ცდილობდნენ.

— ახლა „ბარსელონაზეც" ვთქვათ. რაიკარდის გუნდმა მე 2004-05-ის პრიმერადივიზიონი შესანიშნავად დაიწყო...

— ესპანეთის ჩემპიონატის ფინალამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი. სავარაუდოდ, მეტოქეთა შორის ძალთა თანაფარდობა მალე აღდგება. როგორც გითხრათ, მომავალ მატჩებში „რეალისგან" უფრო უკეთეს შედეგებს ველოდები.



ილუზიონისტის საიდუმლო

არავითარი ჯადო, მთავარია ბრაზილიელობა

ჩემპიონთა ლიგაში მიჯრით მოგებული ორი მატჩის შემდეგ „მილანთან" სტუმრად მარცხს კატალონიის დედაქალაქში ფილოსოფიურად მიუდგნენ. ზოგიერთი ბარსელონელის აზრით, ეს ეგებ დროულიც იყო, რადგან „ბარსას" სეზონის დაწყებიდან თამაშია არ წაეგო და ამ მარცხმა გუნდი მიწაზე დაუშვა. თუმც კატალონიელთა ნაწილს მიაჩნია, რომ ძალიან იოლია რეალობის გრძნობის დაკარგვა და ძნელია მიწაზე დაშვება, როცა გუნდში რონალდინიო გყავს.

„ფეხბურთი და ბედნიერება ჩემთვის სინონიმებია — ამბობს ბრაზილიელი — მსოფლიოში არ არსებობს სხვა რამ, უფრო მეტი სიამოვნების მონიჭება რომ შეეძლოს. ზოგადად ცხოვრებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ თავს უბედნიერესად მაშინ ვთვლი, როცა ფეხბურთს ვთამაშობ. ყოველთვის მოგება მსურს. რა საქმესაც არ უნდა ვაკეთებდე, ყველგან გამარჯვებაზე და პირველობაზე ვფიქრობ".

რაც შეეხება რონალდინიოს არაჩვეულებრივ ფინტებს: „თავისთავად გამომდის — განაგრძობს ბარსელონელი — მიყვარს ბურთის ტარება და ეს ფოკუსებიც სპონტანურად იქმნება. მჯერა, რომ ინდივიდუალური თვისებებით გუნდს წარმატებაში დავეხმარები. ამჟამინდელი ჩემი ფორმით სავსებით კმაყოფილი ვარ".

რონალდინიო შარშან პსჟ-დან თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედში" გადადიოდა, მაგრამ უეცრად „ბარსელონაში" აღმოჩნდა. რატომ არჩია მან „მანჩესტერს" „ბარსელონა"? აი, პასუხიც: „საამისოდ ბევრი მიზეზი მქონდა. „ბარსელონა" ყოველთვის „ბარსელონაა". აქ ჩემი კერპები თამაშობდნენ: რომარიო, რივალდო და რონალდო. მეც ამ გუნდის მაისურის მორგება მსურდა. თან კლიმატი და ქალაქიც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვისაც ზედგამოჭრილია".

დაბოლოს, რონალდინიო ჩემპიონთა ლიგაზე: „ეს ტურნირი ევროპაში უმთავრესია. ლიგაში თამაშზე ვოცნებობდი და ეს „ბარსელონაში" ამიხდა. ჩვენ ჩემპიონთა თასის მოგება გვსურს, სეზონი შესანიშნავად დავიწყეთ და, ვიმედოვნებთ, რომ ევროპული ფეხბურთის მთავარ ჯილდოს დავეუფლებით".

ვაჟა ხუციშვილი

ვარსკვლავებო, დაისვენეთ
რემონმა რეზერვი გამოიძახა

დღეს სამეფო თასის გათამაშების პირველი ეტაპის მატჩებია. ამ ეტაპზე სალაპარაკოც ბევრი არაფერი არის ხოლმე. მაგრამ ერთი მატჩი უსათუოდ უნდა გამოვარჩიოთ. „ლევანტე“ — „რეალზე“ მოგახსენებთ.

საქმე ის არის, რომ „რეალის“ ახალმა მწვრთნელმა მარიანო გარსია რემონმა გადაწყვიტა, სამეფო თასი ყმაწვილ რეალელთა გამოსაცდელად გამოიყენოს, დიდვარსკვლავები კი ჩემპიონატისთვის და ჩემპიონთა ლიგისთვის შემოინახოს.

ჩამოვთვალოთ: რემონი დღეისთვის დაასვენებს რონალდოს, მიჩელ სალგადოს, რაულს, რობერტო კარლოსს. ამათ გარდა, სანტიაგო სოლარი და დევიდ ბექემი დაშავებულები არიან. გუტი კი დისკვალიფიცირებულია. ჰოდა, ვინღა დარჩა?

დარჩა მაიკლ ოუენი, ვინაც „რეალის“ წინა ორ მატჩში გამარჯვების გოლები გაიტანა და „ლევანტესთან“ სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს ფრანსისკო პავონიც, დანარჩენები კი B გუნდიდან მოყვანილი ფეხბურთელები იქნებიან.

„რაკი საუკეთესო ფეხბურთელებს ვასვენებთ, სულაც არ ნიშნავს, რომ სამეფო თასი მეორეხარისხოვან შეჯიბრად მიგვაჩნია — განმარტა რემონმა — მაგრამ წინ გრძელი და მძიმე სეზონი გვაქვს, ამიტომ კომპრომისებზე წასვლა გვიწევს“.

კოტე კეკელია

ინგლისური ფეხბურთის ვეტერანი ლესლი ფერდინანდი, რომელიც დეკემბერში 38 წლის გახდება, სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. „წასვლას ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე. ვგრძნობდი, რომ თამაში კიდევ შემეძლო და „ბოლტონის“ წინანადებამაც არ დაახანა. თამაშისგან სიამოვნებას ვიღებ და კარიერის დასრულებას ამიტომ არ ვჩქარობ, მაგრამ მაინც მომიწევს ამაზე ფიქრი. ფეხბურთს კი მაინც არ ჩამოვშორდები და მწვრთნელობას დავიწყებ. არაერთ ძლიერ სპეციალისტთან მიმუშავია და უკვე გარკვეული გამოცდილებაც მაქვს“ — განაცხადა ფერდინანდმა.

